

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2023 წლის ----- ქ. თბილისი

„საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში (ვებგვერდი, 22/01/2020, სარეგისტრაციო კოდი: 240110000.10.003.021754) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების“:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მიზანია ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილი თესლის წარმოება და მათი ბაზარზე განთავსებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა, საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარეგების ინსპექტირება და ეტიკეტირება.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის „საფურაჟე კულტურების თესლის გვარების და სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“ დანართი №4-ით განსაზღვრული მცენარეების თესლი შეიძლება ბაზარზე განთავსდეს, თუ ისინი სერტიფიცირებულია, როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი.“, ხოლო კულტურების: Glycine max (L.) Merr.- სოიას და Linum usitatissimum L.-ჩვეულებრივი სელის თესლი შეიძლება ბაზარზე განთავსდეს, თუ ისინი სერტიფიცირებულია, როგორც „საბაზისო თესლი“, „სერტიფიცირებული თესლი“ პირველი თაობა, ან „სერტიფიცირებული თესლი“ მეორე თაობა.“.

3. მე-3 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ მუხლი:

„მუხლი 3¹. დამატებითი მოთხოვნები

1. საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარეგების მიმწოდებელს უნდა:

ა) ჰქონდეს თესლის შემრევი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მზა ნარეგის ერთგვაროვნებას;

ბ) ჰქონდეს დანერგული თესლის შერევის ყველა შესაბამისი პროცედურები;

გ) ჰყავდეს თესლის შერევის ყველა ოპერაციაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი;

დ) ჰქონდეს საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარეგების რეესტრი.

2. საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარეგების მიმწოდებელმა განაცხადით უნდა მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს, რომელიც ახორციელებს თესლის ნარეგის შემოწმებას ყოველი კომპონენტის იდენტურობისა და საერთო წონის ეტიკეტის შერჩევით და შერევის ოპერაციის შერჩევით, მზა ნარეგების ჩათვლით.

3. განაცხადში მითითებული უნდა იქნეს:

ა) სხვადასხვა კომპონენტები, სახეობები და საჭიროების შემთხვევაში, ჯიშების, პროცენტულ შემცველობა წონის მიხედვით;

ბ) ნარეგის დასახელება, რომელიც მინიჭებული აქვს შეფუთვის ეტიკეტებისათვის.“.

4. საფურაჟე მიზნით გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს ეტიკეტზე და/ან მიმწოდებლის ეტიკეტზე.

4. დაემატოს დანართი №4 და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საფურაჟე კულტურების თესლის გვარების და სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“

	გვარები და სახეობები ლათინურად	გვარები და სახეობები ქართულად
1	<i>Agrostis canina L.</i>	ძაღლის ნამიკრეფია
2	<i>Agrostis capillaris L.</i>	ჩვეულებრივი ნამიკრეფია
3	<i>Agrostis gigantea Roth.</i>	თეთრი ნამიკრეფია (სინონიმია)
4	<i>Agrostis stolonifera L.</i>	სტოლონებიანი ნამიკრეფია
5	<i>Alopecurus pratensis L.</i>	მდელოს მელაკუდა
6	<i>Arrhenatherum elatius (L.) Beauv. ex J. S. et K. B. Presl</i>	ფრანგული კოინდარი
7	<i>Brassica juncea (L.) Czernj et Cosson</i>	სარეპტის მდოგვი
8	<i>Bromus catharticus Vahl</i>	შვრიელა გამწმენდი
9	<i>Bromus sitchensis Trin</i>	სითხენზის შვრიელა
10	<i>Festuca ovina L.</i>	ცხვრის წივანა
11	<i>Lotus corniculatus L</i>	კურდღლის ფრჩხილა
12	<i>Lupinus albus L.</i>	თეთრი ხანჭკოლა
13	<i>Lupinus angustifolius L.</i>	ლურჯი ხანჭკოლა
14	<i>Lupinus luteus L.</i>	ყვითელი ხანჭკოლა
15	<i>Medicago lupulina L.</i>	სვიისებრი იონჯა
16	<i>Phacelia tanacetifolia Benth</i>	ფაცელია
17	<i>Phleum bertolonii DC.</i>	ტიმოთელა (სინონიმია)
18	<i>Poa nemoralis L.</i>	ტყის თივაქასრა
19	<i>Poa palustris L.</i>	ჩვეულებრივი თივაქასრა
20	<i>Poa pratensis L.</i>	მდელოს თივაქასრა
21	<i>Poa trivialis L.</i>	ჩვეულებრივი თივაქასრა
22	<i>Sinapis alba L.</i>	თეთრი მდოგვი
23	<i>Trifolium alexandrinum L</i>	ალექსანდრიული სამყურა
24	<i>Trifolium hybridum L.</i>	შვედური სამყურა
25	<i>Trifolium incarnatum L</i>	ალისფერი სამყურა
26	<i>Trifolium resupinatum L.</i>	შაბთარი
27	<i>Trisetum flavescens (L.) Beauv.</i>	ოქროშვრია
28	<i>Vicia faba L. (partim)</i>	ცერცვი
29	<i>Vicia sativa L.</i>	ჩვეულებრივი ცერცველა
30	<i>Vicia villosa Roth.</i>	ბანჯგვლიანი ცერცველა

განმარტებითი ბარათი

„საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის დამტკიცებას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2017 წლის 7 მარტის №1/2017 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის 2004 წლის 20 აპრილის კომისიის 2004/371/EC გადაწყვეტილება, საკვებ მცენარეებად გამოყენებისთვის განკუთვნილი თესლის ნარევის ბაზარზე გატანის პირობების თაობაზე შესაბამისად.

პროექტის შესაბამისად, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და განისაზღვრა, რომ ამ წესის მიზანია ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილი თესლის წარმოება და მათი ბაზარზე განთავსებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა, საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარევის ინსპექტირება და ეტიკეტირება. ასევე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ წესის „საფურაჟე კულტურების თესლის გვარების და სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“ დანართი №4-ით განსაზღვრული მცენარეების თესლი შეიძლება ბაზარზე განთავსდეს, თუ ისინი სერტიფიცირებულია, როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი.“, ხოლო კულტურების: *Glycine max (L.) Merr.* - სოიას და *Linum usitatissimum L.*-ჩვეულებრივი სელის თესლი შეიძლება ბაზარზე განთავსდეს, თუ ისინი

სერტიფიცირებულია, როგორც „საბაზისო თესლი“, „სერტიფიცირებული თესლი“ პირველი თაობა, ან „სერტიფიცირებული თესლი“ მეორე თაობა.“.

პროექტის თანახმად, მე-3 მუხლის შემდგომ დაემატა 3¹ მუხლი „დამატებითი მოთხოვნები“, რომლის შესაბამისად განისაზღვრა, რომ საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარევების მიმწოდებელს უნდა: ჰქონდეს თესლის შემრევი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მზა ნარევის ერთგვაროვნებას; ჰქონდეს დანერგილი თესლის შერევის ყველა შესაბამისი პროცედურები; ჰყავდეს თესლის შერევის ყველა ოპერაციაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი; ჰქონდეს საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარევების რეესტრი.

საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარევების მიმწოდებელმა განაცხადით უნდა მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს, რომელიც ახორციელებს თესლის ნარევის შემოწმებას ყოველი კომპონენტის იდენტურობისა და საერთო წონის ეტიკეტის შერჩევით და შერევის ოპერაციის შერჩევით, მზა ნარევების ჩათვლით. განაცხადში მითითებული უნდა იქნეს: სხვადასხვა კომპონენტები, სახეობები და საჭიროების შემთხვევაში, ჯიშების, პროცენტულ შემცველობა წონის მიხედვით; ნარევის დასახელება, რომელიც მინიჭებული აქვს შეფუთვის ეტიკეტირებისათვის.

ასევე, საფურაჟე მიზნით გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს ეტიკეტზე და/ან მიმწოდებლის ეტიკეტზე.

პროექტს დაემატა დანართი №4 – „საფურაჟე კულტურების თესლის გვარების და სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“, აღნიშნული დანართი საჭიროა პროექტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია 2004 წლის 20 აპრილის კომისიის 2004/371/EC გადაწყვეტილების, საკვებ მცენარეებად გამოყენებისთვის განკუთვნილი თესლის ნარევის ბაზარზე გატანის პირობების თაობაზე“, შესაბამისად.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის შესაბამისად, დანართი №4-ით განსაზღვრული საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსებისთვის საჭიროა, რომ ის იყოს სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“, შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი ხელს შეუწყობს, ბაზარზე საფურაჟე კულტურების სერტიფიცირებული თესლის განთავსებას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, თუმცა „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან, რაც შესაძლებლობას მისცემს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს სათანადოდ მოემზადონ პროექტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

მხედველობაშია ის გარემოებაც, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება,

რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N2-954 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც მოახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები“-ს XI-B დანართის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაგეგმავს მათი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს. ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში მივმართეთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროს ზემოაღნიშნული საკითხის უზრუნველყოფაში.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, უკეთ განვსაზღვროთ დაახლოებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებული ვადები და საჭიროების შემთხვევაში, მათი მოვამზადოთ გადავადებების შესახებ შესაბამისი წინადადებები.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2004 წლის 20 აპრილის კომისიის 2004/371/EC გადაწყვეტილება საკვებ მცენარეებად გამოყენებისთვის განკუთვნილი თესლის ნარევის ბაზარზე გატანის პირობების თაობაზე</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>N1 -საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუ ხლ ი ან	ნორმის ტექსტი	N	მუხ ლი ან პუნქ ტი	ნორმის ტექსტი	შე სა ბა მი ს	შენიშვნებ ი

ნაწილი			(ნაწილი)		ობა	
1	<p>ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებს 66/401/EEC დირექტივაში გათვალისწინებული პირობების გარდა, პირობებს წარმოების, თესლის ნარევების წარმოებისა და მარკირების ინსპექტირების მიზნით.</p>	N1	1.1	<p>„2. ამ წესის მიზანია ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილი თესლის წარმოება და მათი ბაზარზე განთავსებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა, საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარევების ინსპექტირება და ეტიკეტირება.“.</p>	სშ	
2	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ, რომ ფირმები, რომლებიც აწარმოებენ თესლის ნარევებს:</p> <p>a) დაყენებული აქვს შერევის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მზა ნარევის ერთგვაროვნებას;</p> <p>b) აქვს შესაბამისი პროცედურები შერევის ყველა ოპერაციისთვის;</p> <p>გ) ჰყავდეს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს პირდაპირი პასუხისმგებლობა შერევის ოპერაციაზე;</p> <p>დ) აწარმოოს თესლის ნარევების რეესტრი, რომელიც განკუთვნილია საკვებ მცენარედ გამოსაყენებლად.</p>	N1	1.3 „მუხლი 3“.	<p>1. საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარევების მიმწოდებელს უნდა:</p> <p>ა) ჰქონდეს თესლის შემრევი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მზა ნარევის ერთგვაროვნებას;</p> <p>ბ) ჰქონდეს დანერგილი თესლის შერევის ყველა შესაბამისი პროცედურები;</p> <p>გ) ჰყავდეს თესლის შერევის ყველა ოპერაციაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი;</p> <p>დ) ჰქონდეს საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარევების რეესტრი.</p>	სშ	

3	<p>ფირმებმა, რომლებიც აპირებენ თესლის ნარევების წარმოებას, უნდა განაცხადონ 66/401/EEC დირექტივის IV დანართის (A)(I)(c)(2) პუნქტში მითითებულ ორგანოს:</p> <p>a) სხვადასხვა კომპონენტის წონის მიხედვით პროცენტული შემადგენლობა ნაჩვენებია სახეობების და, საჭიროების შემთხვევაში, ჯიშის მიხედვით;</p> <p>b) ნარევის სახელწოდება, სადაც მითითებულია პაკეტების მარკირებისთვის.</p>	N1	1.3 1.3 „მუხლი 3“.	<p>2. საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარევების მიმწოდებელმა განაცხადით უნდა მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს, რომელიც ახორციელებს თესლის ნარევის შემოწმებას ყოველი კომპონენტის იდენტურობისა და საერთო წონის ეტიკეტის შერჩევით და შერევის ოპერაციის შერჩევით, მზა ნარევების ჩათვლით.</p> <p>3. განაცხადში მითითებული უნდა იქნეს:</p> <p>ა) სხვადასხვა კომპონენტები, სახეობები და საჭიროების შემთხვევაში, ჯიშების, პროცენტულ შემცველობა წონის მიხედვით;</p> <p>ბ) ნარევის დასახელება, რომელიც მინიჭებული აქვს შეფუთვის ეტიკეტირებისათვის.“.</p>	სშ	
4	<p>1. თესლის ნარევების წარმოების შემოწმებას ახორციელებს მე-3 მუხლში აღნიშნული ორგანო.</p> <p>2. შემოწმება ხორციელდება შემდეგი გზით:</p> <p>(a) თითოეული კომპონენტის იდენტურობისა და მთლიანი წონის კონტროლი, მინიმუმ შემთხვევითი შემოწმებით ოფიციალური ეტიკეტები, რომლებიც განსაზღვრავენ თესლის შეფუთვის; და</p> <p>(b) შერევის ოპერაციის შემთხვევითი შემოწმება მზა ნარევების ჩათვლით.</p>	N1	1.3 1.3 „მუხლი 3“.	<p>2. საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარევების მიმწოდებელმა განაცხადით უნდა მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს, რომელიც ახორციელებს თესლის ნარევის შემოწმებას ყოველი კომპონენტის იდენტურობისა და საერთო წონის ეტიკეტის შერჩევით და შერევის ოპერაციის შერჩევით, მზა ნარევების ჩათვლით.</p>	სშ	

5	საკვების მიზნებისთვის გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ოფიციალურ ეტიკეტზე და/ან მიმწოდებლის ეტიკეტზე.	N1	1.3 1.3 „მუხ ლი 3“.	4. საფურაჟე მიზნით გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს ეტიკეტზე და/ან მიმწოდებლის ეტიკეტზე.	სშ	
6	ეს გადაწყვეტილება მიმართულია წევრ სახელმწიფოებზე.				ას	ეხება გადაწყვე ტილების გარდამავა ლ დებულებ ას